რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში, ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... სტრიქონზე ... კაპ., ... 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი

ქართული წარმოდგენების დაწყება.

კვირას 26 სეკტემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან იქნება წარმოდგენილი

I

პირველად

დედა და შვილი

მაზოდი დავით-აღმაშენებლის დროიდგან, ერთ სურათში,

ლექსად თ. ილ. ჭავჭავაძისა.

II

პირველად

ბ. ლომამის დებიუტი

ფერი-ფერს, მადლი ღმერთს

კომედია 3 მოქმედ. ალ. ჭიჭინაძისა.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„სიმხთა-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი, 21 ენკენისთვეს.** ფინანსთ სამინისტროს რჩევამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, რომ ტომბაკოზე ბაჟი ნუ მოისპობაო; მაგრამ რადგან ბურის გაჭრობა წელს გაჭირებულ მდგომარეობაშიაო, ამის გამო ახალი ბაჟის შემოღება მომავალ წლის იანვრამდინ იქმნეს გადადებულიო.

მთის-მწარმოებელთა კრება ამ დგილისთვის დამდეგს იქნება ქ. ხარკოვში.

**პეტერბურღის ბირჟა, 21 სეკტემბ.**

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი გამოცემისა— | 94 | —50 |
| მეორესი— — — — | 91 | —75 |
| მესამესი — — — — | 91 | — „ |
| მეოთხესი — — — | 90 | — „ |
| მეხუთესი — — — | 90 | —25 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 89 | —50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 | —62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 | —62 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | —19 |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 212 | — „ |
| მეორე სესხის — — | 205 | —75 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 | — 9 | პენსი |
| გამბურღი — | 205 | —50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253 | —37 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ | — „ | პფენიგი |

## რუსეთის ცხოვრება და კატკოვი

(დასასრული *)

ახლად გამოცემული ბეჭდვის კანონთა დამატება ერთობ სასტიკი ზომაა მწერლობისთვის; უეჭველია, რომ ის ერთობ შეაფერხებს საზოგადოებრივ აზრის წარმატებას, დასცემს პატიოსანს მწერლობას და ფრთებს შეასხავს სინიდის გაყიდულს. ეს ეხლავე დაეტყო რუსეთსა.

იგრძნო თუ არა პატკოვიანთ რაზმმა მწერლობის შევიწროება და შემუსვრა, მაშინვე გავრცელდნენ ხმები, რომ ეს და ეს სამსახურ გარეთ მყოფი გუსარი ან დრაგუნი აპირებსო ახალი გაზეთის გამოცემასო, ან და გამოიცემაო იაფი, დიდი და საყოველთაოდ საკითხავი გაზეთიო, რომელსაც მთავრობა შემწეობას აღმოუჩენსო და სხვ.

ერთი რამ არის გასაკვირველი: ზოგიერთთათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც წარსულ ისტორიას, არც სხვა განათლებული თანამედროვე ხალხთა მაგალითსა; იმ ზოგიერთებს ყოველივე ამაების უცოდინარობას ვერ შევსწამებთ, და მით უფრო გასაოცარია ის გარემოება, რომ მათ ვერ შეუსმენიათ სასტიკი და მეცნიერებისგან აღიარებული ჭეშმარიტება, რომ მუხრუჭითა და სასტიკი ზომებით ვერ აღმოიფხვრება საზოგადო აზრის არსებობა და მოძრაობა; ის მოიპოვებს ადრე თუ გვიან თავის გზას და გულში მოქცეული, დაგუბებული და სხვებისგან გზა შეკრული, გმირული ძალით აღმოფეთქს, შესჭმუსრავს თავისივე შემმუსვრელს, მოერეცხს და დათრგუნავს თავისსავე დამქოლავს.

თუ სხვების მაგალითებს არა აქვს მნიშვნელობა მათთვის, მაშ თავისვე საკუთარი ცხოვრების მაგალითებით იხელმძღვანელონ. მომავალი დაგვიმტკიცებს, რომ „სასტიკი ზომებით“ არამც თუ ვერ მიაღწევენ ისინი თავის მიზანს, არამედ დაბადებენ თავისთვის არა-სასურველს შედეგს. მწერლობის განადგურება და მის უფლებათა შემცირება გამოიწვევს მალულ ლიტერატურას, რის შედეგი იქნება კიდევ უფრო მედგარი და გამწარებული ბრძოლა სხვა-და-სხვა დრაგუნთა და გუსართა მწერლობა ვერ დააკმაყოფილებს უკვე აღძრულს საზოგადო აზრსა, რომელიც, როგორც ვითარცა მგზავრი, უდაბნოსა შინა წყურვილით ტანჯული, დაეწაფება არა წმინდასა წყაროსა წყურვილის მოსაკლავად. აი, მოგვლის მომავალი აღმშფოთებელი საზოგადოებისა და განმაძლიერებელი იმ განხეთქილებისა, რომელიც არსებობს სხვა-და-სხვა დასთა შორის.

შეუსრულდა პატკოვსა თავისი ვნულითადი წადილი შესახებ დრო-გამოშვებით მწერლობისა, მაგრამ მისი გონება არ დასცხრა, მისი გული არ დაკმაყოფილდა და ეხლა გვიქადაგებს სახალხო სკოლების გადაკეთებას და გადაკვასებას. ამ შემთხვევაშიაც იგრძნო პატკოვმა თავის სურვილის აღსრულება მომავალში შესახებ სახალხო განათლებისა, რადგანაც ის ერთობ დაახლოვებულია იმ წრესთან, რომელიც განაგებს სახალხო განათლების საქმეთა. პატკოვი ქადაგებს, რომ დღევანდელი სკოლები უნდა გადაკეთდეს საეკკლესიო სკოლებათო, ეხლანდელი საერო მასწავლებელნი უნდა განიდევნონ და მათ მაგიერ მოზარდ ახალგაზდობის სწავლა სამღვდელოებას უნდა ჩავაბარათო. როცა ამაებს ბრძანებს, ივიწყებს ან და განგებ მალავს იმას, თუ რა სწავლა-განათლების და ზნეობის პატრონია რუსეთის სამღვდელოების უმრავლესობა, რომელსაც არამც თუ სწავლა-განათლების დანერგვა შეუძლია, არამედ თავის პირადი მოვალეობა ჯეროვანად ვერ შეუსრულებია და ხალხის პატივისცემა ვერ დაუმსახურებია. ამ შემთხვევაში პატკოვისთვის არც არა აქვს მნიშვნელობა სახალხო განათლების ისტორიას, რომელიც გვასწავლის, რომ სამღვდელოებას ნამეტურ ჩვენს დროში არ შეუძლია სწავლა-განათლების წაყვანა. როცა

*) იხ. „დროება“, № 198.

„დროების“ ფელეტონი, 23 სეკტემბ.

## ტარდიესებური

(ვუძღვნი ნ. ს. ა—ს.)

მე ჩემის ჩანგით არ შემიმკია
როდეს ტრფობა, გინდ ფუფუნება,
არც თვალ წამტაცი მშვენიერებით
გაზაფხულისა უხვი ბუნება!
მარადჟამ ჩემდა ამოვირჩიე
ოხვრეული ტანჯვის და მწარე ცრემლთა,
ვინც დღემდისაც კი ვერ სცნობენ ბედსა,
მავისუფლებას უბადრუკთ შვილთა!

—

ამისთვის ვაჟღერებ მე ჩანგის სიმებს,
როდესაც დავმღერი გულისა ოხვრით,
როდესაც კაეშნისგან წუმპეში გდიან,
სადაზე ფეხს იდგმენ შრომისა ოფლით;
როდესაც ბავშობიდამ თვით სამარემდე
ჭირისგან ლევნას მხოლოდ იცნობენ,
და თითქო ღმერთსაც დავიწყებია,
რომ მათ კაცობის ღირსად არ სცნობენ!

—

დიდო ბარბიევ, ჩემო ოსტატო!
მახსოვს ჯერ კიდევ ბავში ვიყავი,
როდესაც შენის დიდ მაგალითით
ამეგზნო ალი ბავშისა მწვავი:
მკვეხის მეტ ბარგებს უქმ-მელაშველებსა
გადვუჭირებდი უწყალო მათრახს,
და სადაც შევხვდი, კბილნი დავამგრე
ვერაგსა, მლიქვნელს და ფეხთა მლოკავს;

—

მიწიერ კერპებს უგვანთ ხროვისგან
სასირცხო მეგლზე აყვანილებთა
მალულის ხელით პირ-ბადეს გგლეჯდი,
და ვუთითებდი ხალხს მათს მტრულებთა
ჩემს დღეში ქედი არ დამიხრია
წინაშე გუნდის ლაწირაკებთა,
და თაყვანს ვსცემდი მშვენიერების
უსრწნელ იდეალს მუხლებ-მოყრითა;

—

ფრთოვან ოცნებით წინ-წინ ვიწევდი
სიმართლისათვის ბედით ბრძოლაში,
„სასურველი დღე მალე მოგვივა“—
ასე ვფიქრობდი ჩემს გუნებაში,

მაგრამ წარვიდნენ, გამოხდა დღენი
ისევ ვიყავი ბნელს, წყეულს ჟამში,
და, ვით გამხმარი ტვირთი, ის მაწვა,
სისხლის გამშრობი ცალობით წამში!

—

აღტაცებულის ვნებით ველოდი
განთიადს ბედის წინა-მორბედსა,
რომ მისის ელვით იმედი[illegible]
მოშორებოდა ჩვენს გონებასა,
რომ ახალ ძალებ-შემოკრებილი
შევხვდებოდი მომავალ ჟამსა,
რომ თვალით მისი სივრცე შემეპყრო
და მით გამეგო—გვიქადდა რასა!

—

გარნა შიშმილი თანამოძმეებს
უწყალოდ წელში ჭყლეტის მვლელებურად,
გზა კეთილისკენ არა აქვთ საწყლებს
მზაკვარნი ეკლით უხშვენ მას მტრულად;
დაწყევლილს სასო-წარკვეთილებას
გონება მიზრდის ათასეულად
და, სადაც არის ფეხიც მიმტყუნებს
ვაჰ, თუ დავეცე მე დედაბრულად!

—

ტკბილ-სასავთა, წამტყუებელთა
განქარდა გუნდი სურათებისა....
დღეს აღარც მე ვარ იგივე, უწინ
რომ ვიყავი—მონა ვნებისა

გული მიტორის, ვგრძნობ ვერ მომისწრობს
„სავარხალალო“ დღე დროებისა,
და ვეღარ ვეტყვი „მშვიდობით“! წასრულ
მაცთურთ სურათებს იმედებისა!

—

მაგრამ ჩემს გულში მაინც ცოცხალ-არს
გზნებით ღვთიური რისხვის მიგება,
ეს-და მნუგეშობს, რომ მტრის პასუხად
ენა არ ოდეს დამიდუმდება,

რომ მას მრავალჯერ ჩემის მარჯვენით
ისარი გულში დაემგრება
და კიდევ დიდ-ხანს ჩემს მრისხანე ჩანგს
„ჰკა მაგას ბიჭო“ დაემღერება!!

ვ.

1882 წ.

თვით რუსეთში სახალხო განათლება სხვათა შორის იყო სამღვდელოების ხელთ, მაშინ სკოლები არსებობდნენ მხოლოდ ქაღალდზე, სადაც შვიდირვა წლის განმავალობაში შეგირდები ძლივს შეითვისებდნენ მეხანიკური წერა-კითხვის ცოდნასა.

თუ ეს სურვილიც აღსრულდა პატკოვს, მაშინ სრული იმედია, დამყარდება სამუდამოთ მისი ძლიერება და ბრაზების მაგიერ იგი მიეცემა განუსაზღვრელ ეშმაკებრივ სიხარულს.

მოვიგონოთ, მკითხველო, ყოველივე ზემოთ ნათქვამი, თან გავიხსენოთ საქალებო კურსების თუნდ დროებითი გაუქმება, სამხედრო გიმნაზიების გადასხვაფერება, სწავლა-განათლების ბედი რუსეთში და სხვა მრავალი გარემოება და მაშინ, იმედია, ადვილათ წარმოვადგენთ იმას, თუ რა ხასიათი და მიმართულება მიიღო რუსეთის შინაურ საქმეთა მსვლელობამ. ყოველივე ესე ერთბაშად არ მომხდარა; ეს კარგი ხანია მზადდებოდა თან-და-თან და ეხლა გამოიხატა გარკვევით და ნათლად.

ა. ნა—ლი.

## შენიშვნა

ამ—არის წავიკითხე „დროების“ დღიურში: „ჩვენ გვწერენ ქუთაისიდამ, რომ ფიცხელი გამოძიება არის დანიშნული ალავიძის მოკვლის თაობაზედაო“. სწორეთ ხუმრობით მოუწერიათ ეს ამბავი ქუთაისიდამ! ღვთისმშობლის [illegible] დღესასწაულობაზე სოფელს ჯაშუკას თემში ჩხუბი მომხდარიყო ერთ მდივანსა და ალავიძეს შორის; ამათ მიმატებოდათ სხვებიც. საქმე გათავდა მით, რომ მდივნებმა მოჰკლეს ერთი ალავიძე, რომელსაც აქვს ჭრილობა, მაგრამ სიკვდილით, როგორც ამბობენ, არ მოკვდებაო.

ეს იყო რვას ამ თვეს. დღეს არის 18 რიცხვი, მაგრამ გამოძიებას რიგიანათ არავინ შეზდგომია. მართალია, იყო გამომძიებელი, მაგრამ ძლიერ გვიან. აქ და, საუბედუროთ, სხვაგანაც, ეგონებ, ყველგან სანამ გამომძიებელი მოვიდოდეს, მოწმებს დაარიგებენ როგორც უნდათ, წავლენ, ნახვენ ადვოკატს, დაიწერენ იმათგან ჩვენებას და ასე დამზადებული დახვდებიან გამომძიებელს!.. რა გამოვა ამისთანა გამოძიებისაგან—ყველა კარგად მიხვდება. თავის დროზედ რომ გამოძიება მომხდარიყო, ყველაფერი აიხსნებოდა და ეხლა გამომძიებელი ველარაფერს ვერ გაიგებს.

ეს შორაპნის მაზრა მართლა უბედურია გამომძიებლებით. ერთი გამომძიებელი გვყავდა; როგორც ვიცი, ძლიერ პატიოსანი იყო, მაგრამ ჯერეთ შრომას მიუჩვეველი, და ისიც ბაქოში გადაიყვანეს; აქნობამდის ერთის თვით დათხოვნილი იყო სასეირონოდ. ერთი კანდიდატი არის დანიშნული, მაგრამ სრულებითაც რომ არ იყოს, ეგონებ, შორაპნის მაზრას არა მოაკლდეს-რა. ასეც ორი თვე დათხოვნილი იყო სასეირნოდ. კარგა ხანი იყო ხალხი დარჩენილი უგამომძიებლოდ. მაგრამ ოლქის სასამართლოს მიწერ-მოწერაში ხალხი არ იყო მაინც დარჩენილი უ-გამომძიებლოდ. ჩვენ დაგვინიშნეს ბაღდათის მომრიგებელი სასამართლოის განყოფილების გამომძიებელი ბ. ზასნევსკი, ერთ დროს ჩვენ სასამართლოში სტოლის უმფროსად მყოფი. თუ საჩივრის განაცხადებას მოინდომებდი იქ, ს. ბაღდათში უნდა წაბრძანებულიყავი და რომელი გიჟი დაიწყებდა იქ სიარულს! ეხლა ისიც იკითხეთ: რომ მისულიყავით წამოვიდოდა თუ არა!..

აი ამას უძახიან ჩვენში ჩქარ სამართალს! ნამეტნავად მოჩლუნგდა ჩვენში სასამართლოების წესდებაები. აღარ ჰკრის სამართალი. აღარავინ უგდებს ყურს მათ აღმასრულებლებს. ხალხი თვითონ ატრიალებს სამართალს როგორც უნდა.

და ამისთვისაც გახშირდა ასე უწყალოთ ხალხის ხოცვა უბრალო მიზეზების გამო. ყველა დარწმუნებულია, რომ ჩვენი გამომძიებლების ხელში, ადვოკატების წყალობით, არავინ არ იქმნება დასჯილი კანონისაგან.

ან კი რა ქმნას გამომძიებელმა! მან ხალხი არ იცის, ხალხმა ის. გამომძიებელი ხალხს ვერ გაავონებს, ხალხი მას. ამისთანა გამომძიებელმა როგორი გამოძიება უნდა მოახდინოს? აი კიდეც ხშირად ვხედავთ ამისთანა [illegible]... და რამდენი კიდევ შემდეგ იქმნება, ვინ დათვლის.

მაგრამ განა ამისთანა ხმებს და გაზეთებს ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი მოსამართლეები? იმათ გამოანგარიშებული აქვსთ—რამდენ ხანს უნდა იმსახურონ კანდიდატად, შემდეგ მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეთ; რამდენს ხანს მოსამართლეთ და ბოლოს როდესაც უნდა გახდეს ოლქის სასამართლოს წევრად და სხვა. მაგრამ ყველა კი არ ფიქრობს ამას! თუ ბედნიერი ხარ და პროკურორის ცოლს იცნობ, ან ის გცნობს, ან ვინმე ამისთანა ბობოლა, მაშინ იმედი უნდა იქონიო, რომ პირ-და-პირ მაღალ ადგილს იშოვი. საქმე იცი თუ არა—არავინ გკითხავს. თუ დიპლომი გიშოვნია და ქართველი არა ხარ, ნურაფრის ნუ გეშინიან. ქართველებმა რომ სულ ერთმანეთი ამოხოცოს, რა ენაღვლებათ! მე გეტყვი შენ: ველარ იშოვიან დამსახლებლებს!

ჩვენვე უნდა მოვიგონოთ საშუალება, რომ ამისთანა საძაგელ ჩვეულებას, როგორც ხანჯლის ტრიალია და საზოგადოთ სმა-ქეიფში იარაღის ხმარება, ბოლო მოვუღოთ, თორემ კანონი ვერ დაგვიფარავს...

## დღიური

ბათომიდამ იწერებიან, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ იქაურს სკოლაში ამ თვეითვე 28 შეგირდი სწავლობსო და შემდეგში კიდევ მოელიან ამ რიცხვის მომატებასაო.

* * *

სომხურ გაზეთს „მეღუ ჰაიასტანში“ დაბეჭდილია, რომ პირველ გილდიის ვაჭარმა ი. ალილოვმა გორის სომხის სკოლის სასარგებლოდ ხუთასი მან. შესწირაო.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ ორის კვირის განმავალობაში თითქმის შეუწყვეტელი წვიმა მოდისო და ამის გამო ნამუშევრის მოწევას ძალიან აბრკოლებსო; თუ დროზე არ გარდაიღო, არა თუ მოწევას დაუშლის, თვით მოსავალსაც დიდ ზარალს მისცემს ეს გამუდმებული წვიმაო.

* * *

სოფ. სორმონიდამ (ქუთაისის მაზრისა) გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში ერთმა აქაურ გლეხმა, მიწის მუშაობის დროს, ნახა მიწაში ჩაფლული ხალამი (ქილა), რომელშიაც ძველი ვერცხლის ფული იყოვო. ის ფული ახლაც გლეხსა აქვს და კარგი იქნებაო, მცოდნე კაცმა ნახოს, იქნება ისეთი ძველი ქართული ფულები აღმოჩნდეს, რომლის ნიმუში ახლა არ მოიძებნებაო.

* * *

ქუთაისიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„მეოთხე ღამეა ქუთაისიდამ აღმოსავლეთით მოჩანს უზარ-მაზარი კუდიანი ვარსკვლავი. კუდი რაც უფრო შორდება ვარსკვლავს, თან-და-თან ფართოვდება და ამ ნაირად გრძელდება 15-20 საჟენამდე თვალ-გაზომვით. ვარსკვლავი თითქმის განთიადისას გამოჩნდება ხოლმე და დღის სინათლე აქრობს. ღრუბლიან ტაროსების გამო გარკვევით, ნათლად ვერ ვხედავთ მთელს კუდს. ხან შუაში დაადგება ღრუბელი, ხან თავზედ და ხან ბოლოზედ. იქნება უფრო გრძელიც იყოს და ვერ ვარჩევთ ღრუბლის გამო.“

## „დროების“ კორრესპონდენციები

**ზაქათალის მაზრიდამ, 14** ენკენისთვეს. ზაქათალისმაზრის სოფ. კახიდგან მივიღე უსახელო წერილი თათრულს ენაზე. რადგან თათრული წერა-კითხვა მე კარგად არ ვიცი, წერილი წავიღე შესატყობათ თათრულის გაზეთის „ზია“-ს რედაქციაში. აი რა იყო მისი შინაარსი:

„შაქარა ბულულიშვილს, ობოლს და ერთად-ერთს კაცს ოჯახში, კახის მამასახლისმა სულხაი ფაჩხატიშვილმა სთხოვა წინა დღეს მთაში წამყვე სახლის ხის მოსაჭრელადო; მაგრამ ის არ გაჰყვა, რადგან მარტო-ხელა კაცი არის და თავის საკუთარ საქმეებსაც ვერ აუდის. ეს მძლავრმა მამასახლისმა იწყინა ღარიბი გლეხისაგან და მეორე დღეს მძლავრობით წაიყვანა მთაში სამუშაოთ. უბედური ბულულიშვილი მუშაობის დროს დაგორდა და დაიჩეხა, და ახლა მძიმედ ავად არის, არ ვიცით მორჩება, თუ მოკვდება.

„იგივე მამასახლისი ნებას არ აძლევს ბულულიშვილს სახლი გაიკეთოს თავის საკუთარს მამულში.

„გატყობინებთ ამას და გთხოვთ გვიშველოთ, გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, გამოაცვლევინოთ ეს მძლავრი მამასახლისი და სხვა ვინმე დაგვიყენებინოთ.“

რამოდენად მართალია ეს ორი ფაქტი, რომელიც შეგვატყობინა უსახელო წერილმა, ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ვიცით კი, რომ ხსენებული მამასახლისი მართლაც ძლიერ მავნებელი კაცი არის ეს პირადად ჩვენ თვითონაც ვიცით. ის სოფლის მცარცველია, და არა მომვლელი და დამცველი. იმას ასრე მგონია სოფლის მოხელის თანამდებობა იმისთვის მიმიღიაო, რომ საკუთრად მე გავმდიდრდე სოფლის ნაჭირნახულევითო. ამისა გამო ის ცარცვავს კახის მცხოვრებლებს სხვა-და-სხვა მიზეზების მოგონებით. აი ფაქტები: რადგან ზამთარში კახის ბაზარში საკლავი არ იკვლის, ამისათვის გაქრისტიანებული ინგილოები ჰხოცავენ გარეულს ღორებს ტყეში და ასრე შოულობენ ხორცს. სანადიროთ მიდიან ერთად 20-გან 40 კაცამდე მეძებრებით. ბევრჯელ მოხდება, რომ ეს ამოდენა ხალხი მთელ დღეს ივლის და ნადირს ვერ ნახვენ; მაგრამ უფრო მომეტებულად ჰკლავენ ერთიდგან ხუთამდე დაიყოფენ ხორცს ყველანი თანაბრად.

ამ გვარად ნადირობას, ეძახიან „სვირაგს“.

სოფლის მამასახლისს სოფლელების ამ გვარად იკლად გამოსვლა შეჰშურდა და ჯერ აღუკრძალა ხალხს ნადირობა, მერმე ნება მისცა, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ სამ-ოთხს ღორს მოჰკლავდნენ ერთი მთლად მისთვის მიეტანათ, თუ ერთ-ორს, მაშინ ხორცის გაყოფაში მისთვისაც წილი დაედოთ. ასრე ერთის წლის განმავლობაში ის ძალად ართმევდა ნადირის ხორცს მენადირეებს. ხალხი შეწუხდა მისგან და იჩიოდა; მაგრამ არა გამოვიდა-რა; დასაჯეს ისევ მენადირეები ჩივილისათვის, და არა მძლავრი მამასახლისი. როცა მუშაობის დრო იყო, ყველა გლეხს თავისი ყანა უნდა მოემკა და გაელეწა; მაშინ დაიჭირეს მენადირე ფაცა ოთარაშვილი მამასახლისზე საჩივარის შეტანისათვის და ერთი თვე სატუსაღოში ამყოფეს.

2) ყველა შეძლებული ინგილო, რადგან ზამთარში კახში ყასბები არ არიან, ჰკლავს ნოემბერს საკლავს, ამარილებს ხორცს, ახმობს ნელ-ცხელ თორნეში ღორად და ხმარობს ზამთრობით. ასრე ინახვენ როგორც ძროხის ხორცს, აგრეთვე ცხვრისას. უკანასკნელისას მთლად ფეხებს ალორებენ და ეძახიან „ყახაჯს“, როცა ის დამით გამოცხვება ცეცხლზე. ასრე იქცევიან იმისათვის, რომ ხორცი არ დალპეს.—მამასახლისი მეძებარსავით სუნით დაეძებს სოფელში

...ესა აქვს ბევრი ამ გვარად შემზადებული ხორცი, რომ მიზეზი მოუგონოს და წაართვას. რომ დაიგულებს მასთანა ალაგს, დააბრალებს ქურდობას, დაეცემა ოჯახს იასაულებით მთლად ართმევს, მიაქვს თავის სახლში და თვითონა სჭამს. ასრე მოექცა შარშან ზამთარში ბუჰსტეი ჯანაშვილს. მამასახლისმა წაართვა არამც თუ ძროხის ხორცი, რომელიც ნაქურდალად შერაცხა, არამედ მთლად ერთი ღორიცა, რომელიც იმას მენაღირე ლეკისაგან ეყიდნა. მთელს ზაქათალის მაზრაში თუმცა არც ერთი შინაური ღორი არ მოიპოება, მაგრამ მან ესეც ნაქურდალად შერაცხა, წაართო და თითონ შეჭამა. ამასთანავე წაართვა ძროხის ტყავიცა და თვითონ ქალამნად მოიხმარა.

3) ამავე ბუჰტაი ჯანაშვილისაგან შენახული გასათიბათ თავის საკუთარ ყორუღში ბალახი მამასახლისმა მძლავრობით თავის საქონელს მოაძოვა და აქვე მოსამკავი ყანა თავის კამბეჩებს ფეხ-ქვეშ გაალეწინა.

4) ქურა ბეროშვილს მამასახლისის შვილმა ჯეჯიმები და ნაბდები წაართო იმ მიზეზით, რომ ჩემია და შენ მოგიპარავსო.

5) მინდორში ქურიდებს კამბეჩი წაართვეს მცხოვრებლებმა, მოუყვანეს მამასახლისს და ჩააბარეს; მაგრამ დღესაც არ იციან იმან დაკარგა ის, თუ თითონ შეაფარა სადმე; სოფელზე კი იჩივლა, მომპარესო, აზღვევინა და ფული თითონ შეჭამა, თუმცა საქონელი თავისი არ იყო.

6) ქურდს კახში ღამით ეზოში გამოეკიდა სახლის პატრონი, თვითონ ვერ დაიჭირა, მაგრამ ფაფახი დააგდებინა. ხალხმა იცნო ვისიც იყო ქუდი, უჩვენა ქურდი მამასახლისს, მაგრამ ის შინაურულად მოურიგდა მას და განათავისუფლა. მერმე ხალხს უთხრა, რომ ქუდი მისი არ არისო და ვისაც ჰგონია, რომ ის ამა-და-ამ კაცს ეკუთვნისო, მაშ ფიცით დაამტკიცეთ მისი ქურდობაო; სოფელზე კი ჩივის ქურდებს მიმალავენო.

7) სოფელს თავის მიწაში დიდი ძალი თრიმლი აქვს. ეს რამდენიმე წელიწადი იმას ფასი დაედო; რადგან საღებავად იხმარება მისი ფოთოლი, ვაჭრები ფუთს ხან მანეთად, ხან ექვს აბაზად ჰყიდულობენ, და წონაშიაც ძალიან მძიმეა. ის უნდა მოიჭრას ენკენისში. მაგრამ მამასახლისმა ნება არ მისცა ხალხს მისი მოჭრისა აგვისტოს 17-დე, და თრიმლე ზეზედვე გახმა და გაფუჭდა. ეს იმისათვისა ჰქმნა, რომ თავის ამქრის კაცებს აპარვინა საერთოდ. ამ დროს ბევრი ქურდი დაიჭირეს ურმებითვე, მაგრამ ის შინაურულად მოურიგდა.

8) რომ უფრო კარგად დამალოს თავისი ბოროტ-მოქმედება კახის ნაიბს კარპინსკის შვილები მოანათვლინა.

ამ გვარის მისის ბოროტად ქცევისაგან ს. კახი ისრე გაღარიბდა, რომ ეს სამი ოთხი წელიწადი არის 40 კომლი ხარჯს ველარ აძლევს ხაზინას და მათ მაგიერ სოფლები იხდიან. ახლა ისინიც რომ გალატაკდებიან, მაშინ აღარ ვიცით, ვიღამ უნდა მისცეს. ეს კი ვიცით, თითონ არ იხდის ფულს თუმცა სხვათა მონაგარით გამდიდრებულია, და სხვისთვის სახემწიფო ხარჯს აბა რათ გადიხდის.

ეს კაცი მამასახლისად ნათლიამ ამოარჩია, და არა სოფელმა. ს. კახში მაინც სოფელს არა ჰკითხავენ ნაიბები მამასახლისის ამორჩევას. ვისაც ის დაასახელებს, სწორეთ ის უნდა ამოირჩიონ მცხოვრებლებმა მამასახლისად. ერთის სიტყვით, ხალხი ისრე დაშინებული ჰყავს ამ მამასახლისს, რომ შიშით ხმას ვერავინ იღებს; და თუ ვინმემ გაბედა, იმას მაშინვე ქურდად ასახელებენ მთავრობას წინაშე და აწვალებენ. მთელმა სოფელმა იჩივლა, მაშინ კიდე ზაქათალის მაზრის უფროსს ეუბნება: სოფელს ქურდობა ჰსურსო, მე ამას უშლიო და ამისთვის მემტერებიანო, თორემ ჩემზე კარგი და ჭკვიანი კაცი კახში არავინ არისო. უფროსებიც მოჩივრებსვე სჯიან, და არა იმას, ვისზედაც ჩივიან...

---

**ოსიაური, (გორის უეზდის), 16 ენკენისთვეს.** მთელის ოსიაურის საზოგადოების გლეხ-კაცობა სიკვდილს ნატრობს: ამ ჟამად ისეთ საცოდაობაში არიან ჩაცვივნულნი, რომ არ იციან რა ქნან.

მაზრის უფროსისაგან—ბ. ერისთავისაგან სასტიკი ბრძანება გამოუტანია აქაურს მებატონეს ბ. ვეზიროვს, რომ გლეხებმა შოსსეს გზა უნდა გააკეთონო იქ, სადაც საზოგადოება არ საჭიროებს, არამედ მხოლოდ ვეზიროვს აქვს ამაში საჭიროება.

ამის გამოთ ბ. პოლიციის პრისტავს მიუსევია ჩაფრები ამ სოფლის გლეხებისთვის და ისეთი საცოდაობის ღული სდგას ამ გლეხებში, რომ კაცთ მოყვარე მნახველს ცრემლები გადმოსცვივა ცოდვით. გლეხები ერთხმათ გაიძახიან:

„—თუნდა ციმბირში გაგვგზავნოთ, მაგ გზის გაკეთების თავი არა გვაქვსო;—ამ გზის გაკეთებას რომ შეუდგეთ, ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალი ცივ ქოხებში დაგვეხოცებაო, ზამთრისთვის ველარაფერ ვერ მოვიმზადებთო, ერთის სიტყვით შეუძლებელს ვერ შეგვაძლებინებთო, სხვა ტყავის ძრობაც გვეყოფაო“.

მაგრამ თავს არ ანებებენ. ამ საზოგადოების გლეხობამ მიართვა უფალ ტფილისის გუბერნატორს არზა ამ გაჭირებაზედ და სთხოვეს გაენთავისუფლებინა იგინი ამ გვარი მძიმე საპალნისაგან, მაგრამ მათი თხოვნა უყურადღებოდ დაუტოვნია, და პირ-იქით საყვედური უბძანებია: როგორ თუ თქვენ გაბედეთო, რომ თქვენი შევიწროება მომაყენეთო და როგორ თუ თქვენ თავს გრძნობთ შეუძლებელათ გზის გაკეთებაშიო!! ამ საყვედურს ვიღა ჩივის, მაზრის უფროსმა უარესობა ჩაიდინა: მან დაატუსაღა საცოდავი ოსიაურელი მამასახლისი! თქვენმა საზოგადოებამ როგორ გაბედა ჩივილიო! და აგრეთვე მისი განკარგულებით დათხოვნილი იქმნა სურამის უპრავლენიის მწერლობიდგან ბ. ალიბეგოვი, რომელმაც დაუწერა მათ თხოვნა გუბერნატორთან; ამ გვარ თხოვნას დაარქვა მან კლიაუზნიკური თხოვნა!! ვისაც კი მოხსენებული არზა წაუკითხნია, დარწმუნებით იტყვის, რომ მაზრის უფროს არ სმენია, რას ნიშნავს რუსული სიტყვა „კლიაუზნობა“ აქ რა ბრალია არზის დამწერი: ვისაც სთხოვდა გლეხობა, ყველა დაუწერდა მათ თხოვნას, ყველა შევიდოდა მათ მდგომარეობაში, ვისაც კი ცოტაოდენათ მაინც აქვს გრძნობა სიბრალულისა. აგრეთვე რა ბრალია საცოდავი მამასახლისი: განა იმას შეეძლო ორასი კომლი კაცის დამორჩილება, რაც გინდა ძაან მოენდომებინა?... ბ. მაზრის უფროსს ვერ მოსვლია გონიერი განკარგულება ვერც ერთ საგანზედ...

ჩვენი მაზრის მღვდლებმა ერთობ შეავიწროეს მრევლნი: ასე გაშინჯეთ, ვინც დაწესებულ დრამას არ მისცემ, მიუსევენ სოფლის გზირებს და ცემა-ტყეპით ართმევენ; თუნდაც რომ ორი დღის სარჩო არ რჩებოდეთ მათ, ერთ მარცვალს არ აპატიებენ. მაგ. სოფელ ვაყის მღვდელმა მახარობლიძემ ერთ ქვრივს დედა-კაცს მიუსია სასოფლო გზირი დრამის წასართმევათ, და როდესაც მას ნებით არ მიეცა, ებრძანა: დაჰკარიო, და გზირს ისე მწარეთ მიეცხო მისთვის მკლავში კეტი, რომ ლამის მკლავი დაუშავდესო. მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო, სწორეთ არის ნათქვამი ეს ანდაზა.

ოსიაურელი.

---

**სოფ. დიდ-ჯიხაიში, (ქუთ. მაზ.), 20 სექტემბერს.** ჩვენს სასოფლო სკოლაში წასრულს წლებში რომ შესულიყავით, სულ რომ ბევრი ვსთქვათ, უნდა ხუთზედ მეტს მოსწავლეს ვერ ნახავდით. ეხლა ასზედაც მეტია. ამ ყმაწვილების რიცხვის გამრავლებას ჩვენ უმადლით მასწავლებელს შენგელიას, რომელიც ძრიელ მეცადინეა რიგიანად წაიყვანოს სკოლის საქმე.

რა კი ხალხმა ეგრეთი მასწავლებლის გულმოდგინება დაინახა, ყმაწვილები დიდის სიამოვნებით მიჰყავთ სკოლაში, ასე რომ შაგირდების დასასხდომი ადგილიც აღარ არის. ამისთანა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საზოგადოებიდგან შემწეობა, სკოლის სახლი უნდა ჰქონდეს რიგიანად მორთული ყოველიფრის მოწყობილობით. საუბედუროდ ამ სკოლის სახლი სრულებით გაფუჭებულია: იატაკი ანგრეული აქვს, ქვევიდამ ქარი უქრის, ბუხრები ჩამოქცევაზედ არის, კედლებიც თითქმის აგერ გადმოცვივა ასრე, რომ ძრიელ საშიშარიც არის ამოდენა ყმაწვილის ერთად ამ სახლში შესვლა, საწერი დაფა არ არის, არც საკმაო პარტები.

სკოლის მოუწყობლობას ვაბრალებთ ბატონთ პოპეჩიტლებს. ამ დალოცვილს საზოგადოებას ისეთი პოპეჩიტლები აურჩევიათ და დაუყენებიათ, რომ მათ სწავლისა არაფერი არ გაეგებათ.

ჯიხაშელი.

---

# ნარევი

**ზმები ზოგიერთ ჩვენ ქალაქებზე, დაბებზე და სოფლებზე.**

**გორი.** ვერ ავგი რიგიანი ხიდი.

**თელავი.** მთელავი ბევრი ჰყავს და ღვინის მგდებელი კი ცოტა.

**სურამი.** სუ რა მინდაო,—ქალაქად დამამტკიცეთო?! (ითხოვს მთავარ-მმართებელისაგან).

**აჯამეთი.** ანანოვმა წაართვა აჯამე თითქმის.

**ხონი.** ფხონი ადგილი, ფხონი მცხოვრებნი. (ფხონი—უნაყოფო).

**კულაში.** აქაურებს კულაშიაც ცოტა აქვთ და ჯიბეშიაც.

**ფოთი.** დიდი შფოთი, დავიდარაბაა ატეხილი და უთაურობის გამო, ვერ ააგეს კიდე ბუხტი.

**ოზურგეთი.** მოზურგეთ ინანიან, აგმარეთ.

**სენაკი.** ეხლანდელმა უფროსმა გაახსენა კი არა, დაავიწყა კიდეც ძველი უფროსის ნამოქმედარი.

**ბორჯომი.** უბორჯო მიშველებამ ქნა, რომ საუკეთესო ტყეები გადაიწვა აქ.

**ბათომი.** თუ ასე მიხედეს, მალე შეეცვლებათ ალბათ ომიანობის მდგომარეობა (?).

**ტფილისი.** საქართველოს დედა ქალაქში ტფილი სიო სხვებისათვის ჰქრის და ცივი ქართველებისათვის.

**სიგნაღი.** ათასი „ჯინა“ *) ღიპიპიანებს მისძახე, მაინც ვერ გამოჰრეკ აქედამ ისე დამკვიდრებულან.

**მცხეთა.** ყველამ ცხეთ არ დაივიწყოს, მოუაროს ჩვენს დიდებას, დიდს ეკკლესიას.

**ახალციხე.** ძველად ჰსწევდა—ეხლა ვეღარ გასწევს ახალ ციხეობას.

---

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გრაალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; პასტუხოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—

*) სომხურია. ქართულად—წადი.

შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლევების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების სისუსტავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


ტფილისის სამოქალაქო უპრავა საყოველთაოდ აცხადებს რომ მე 11 § ბ. ფინანსის მინისტრისაგან დამტკიცებულის დებულების ძალით 20 აპრილიდგან 1881 წ. ტფილისის სამოქალაქო საზოგადოებისაგან დაბეჭდვა 750,000 მ. ობლიგაციებისა, 1 ოკტომბერს ამა 1882 წ., დილის 12-ს საათზედ სამოქალაქო კრების ზალაში მოხდება მართველობის დასწრებით ტირაჟი სამოქალაქო ობლიგაციებისა 7,900 მან. (3—1)

## აუქციონი

2 და 9 ოქტომბერს 1882 წელსა კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზში დანიშნულია გასყიდვა, ვერცხლეულისა, ოქროულისა და სხვა მვირფასი ნივთებისა. (3—3)

პატივი მაქვს ვაცნობო ტფილისში მობრძანებულთ მოვაჭრეებთა, რომ ამ წლის 1-ის ოქტომბრიდგან მე ავილე იჯარით სიონის სობოროს პირ-და-პირ ბ. ტანანოვის ახალი ქარვასლა, რომელშიაც ვაწყობ ნომრებს რკინის კრაოტებით, ფეჩებით და ყოველი მოწყობილება იქმნება სუფთად.

ფასი იქმნება იმავე წესით, როგორაც სხვა ქარვასლებშია, იმავე რიგად, როგორადაც მქონდა უორხმაზის ქარვასლა იჯარით.

ამავე ქარვასლაში იმყოფებიან შუაეტაჟში № 48 კომმისიონერი გ. ია. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი.

მოიჯარადრე მეორე გილდი
გეგორქ გარლამის-შე ახნაზაროვი
(10—3)

საქალებო გიმნაზიის მეექვსე კლასის შაგირდი იაფად ამეორებინებს და ამზადებს ყმაწვილებს თავის სახლში.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლის № 44, ფოჩტის სტანციის პირდაპირ. (5—4)

ქვრივი გრიგოლ ქლდიაშვილისა ეფროსინე ქაიხოსრო ყიფიანის ასული და მაზლები ამისა კანდრატი და ვიქტორ კლდიაშვილები უმორჩილესად სთხოვენ ნათესავებს მობრძანდნენ სოფელს სვიმონეთს ორს ოქტომბერს, სადაც ექმნებათ ორმოცის ჩვეულებრივი ტირილი პირველის ქრმისა და მეორეებთ დედისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს გარდაიცვალნენ 3—1

გამოვიდა და ისყიდება შემოკლებული
**საქართველოს ისტორია**
შედგენილი
მამსაშვილი-ცამციევის მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში ლორისმელიქოვის ქუჩაზე ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში
ფასი 70 კაპ.
(5—4)

ახალი ქართული
## კარაბადინი
ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**თამარ დედოფალი**
შედგენილი
გ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
## ეროვბა
თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
## სახსოვარი
ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
## მოთხრობანი
წიგნი მეორე.
ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).
ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
გორში: მ. ქერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
**მწყემსის სტვირი**
**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად
აღაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**მამულის**
**საერთო მფლობელობაზე**
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში
**იგავ-არაკნი**
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**ისყიდება**
ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი


## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 სექტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | $4\frac{1}{2}$ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნად
დრამა
# სამშობლო!
ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


Позволено цензурою. Тифлисъ, 22 Сентября 1882 г. Типографія Мeликова. გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი